● დიდი ხნის წინათ სამშობლოდან წასულმა კიდევ ერთმა ჩვენმა თანამემამულემ გაიხსენა და იპოვა ნათესავები.
მე-2 გვერდი

ДЖЕС НОМЕРШИА

● საქართველოს ტურიზმი — 71 და მისი სვალინდელი დღე.
მე-2 გვერდი

● ქართული ფუტკარი — ოქროს მედლის ორგანიზის მფლობელი.
მე-3 გვერდი

● რუსთაველის პრემიის ლაურეატი ვასო გოძიაშვილი.
მე-4 გვერდი

● ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი ალექსი ალემძისძე სტრასბურგის უნივერსიტეტში.
მე-5 გვერდი

● ჯგარი — ქართული კულტურის კერა საზღვარგარეთ.
მე-6 გვერდი

● ქართველ ფალავანთა დვაწლმოსილი ალმზრდელი მიცვალა.
მე-7 გვერდი

სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 16 (272). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 27 აგვისტო

საქართველოს კომკავშირის 50 წელი

ჩემი სამშობლო კიდევ ერთი დიდი ზეიმისათვის ემზადება. სექტემბერში ახალგაზრდობის საკავშირო კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმის საქართველოს კომკავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს გადავიხდით.

ეს 50 წელიწადი რესპუბლიკის ცხოვრების ორმოცდაათი შესანიშნავი ფურცელია. ამ ღირსსახსოვარ დღეებში თავიანთ თავს იუბილარად უფროსი თაობის წარმომადგენლებიც თვლიან, მათ ხომ კომკავშირული აღზრდის საუკეთესო სკოლა გაიარეს და ახლა ამაყად აცხადებენ, ქართველი ახალგაზრდები ყოველთვის იქ იყვნენ, სადაც სამშობლოს სჭირდებოდაო.

კომკავშირი აშენებდა ზაჰესსა და რიონჰესს, აგებდა ხიდებს, გაჰყავდა გზები, ტეხდა ყამირს, შრომასა და სწავლაში ათენებდა და აღამებდა. კომბაინის ტარებაც ისწავლა და ექიმის ხალათიც ჩაიცვა, ბუნების წიაღში ჩამარხული სიმდიდრეც ხალხის სამსახურში ჩააყენა და თვითმფრინავიც ააგო.

სამშობლოს დაძახილზე მკერდით შეკრა დერბენდი და დარიალი. მტერს ბოლომდე, რაიხსტაგამდე სდია.


ფერფლად ქცეული ქალაქები ფეხზე წამოაყენა და იქ ქართული მრავალუამიერი დააგუგუნა.


დღეს, ქართველი ახალგაზრდები ბრწყინვალედ აგრძელებენ ტრადიციებს. მათი გმირული შრომის მოწმეა პლანტაციები და ზვრები, ქარხნები და ფაბრიკები. ახალი აღმოჩენებით ამდიდრებენ მეცნიერებას, თავიანთი ხელოვნებით იპყრობენ მსოფლიოს, შორს გააქვთ ქართული სპორტის დიდება... იუბილარი მართლაც რომ სახახელო გვყავს!

მაშ ასე — საქართველოს მიწა-წყალზე კვლავ დიდი ზეიმი დაიბიჭებს.









ახალგაზრდობა — ჩვენი ხვალ, ჩვენი იმედი...

ჩემს ერთან, ჩემიანებთან...

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთი „სამშობლო“ ხშირად იღებენ წერილებს საფრანგეთში, ბელგიაში, დასავლეთ გერმანიაში, ავსტრალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ ირანში მცხოვრები ქართველებისაგან. ბარათები სხვადასხვა შინაარსისაა — ზოგი თავისთვის საინტერესო ქართული მხატვრული ლიტერატურის გაგზავნას გვთხოვს, ზოგს ნოტები და ფირფიტები აინტერესებს, ზოგი ხალხური საკრავებისა თუ ქართული ფილმების მიღების სურვილს გამოთქვამს, ზოგი კი გვთხოვს დავეხმაროთ სამშობლოში დარჩენილი ნათესავების, ახლობლების მოძებნაში.

ვცდილობთ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა სურვილები, გვინდა, სამშობლოდან მიღებულმა ამანათმა მათ ოჯახში სიხარული, მშობლიური მიწის სურნელი შეიტანოს...

◆

გრიგოლ სულაძემ საქართველო 1917 წელს დატოვა. მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ამ კაცის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. (დასანანი კი არის, ვინ იცის, როგორ იტანჯებოდნენ შვილის დაკარგვით გამწარებული მშობლები და რა დიდი ჯავრი გაჰყვათ იმქვეყნად). და აი, მოხუცებულობაში ფეხზედგმულმა გრიგოლ სულაძემ გადაწყვიტა აღადგინოს კავშირი სამშობლოსთან, ნათესავებთან. ბარათში, რომელიც ბატონმა გრიგოლმა საფრანგეთიდან გამოგვგზავნა, გვწერს:

პატივცემულო თანამემამულე!

უკვე 60 წელიწადი სრულდება, რაც პირველმა დიდმა ომმა დამაშორა ჩემს სამშობლოს და მაიძულა გადავხვეწილიყავი უცხოეთში, სადაც ვიმყოფები დღევანდლამდე. ვცხოვრობ საფრანგეთში, მყავს ქალიშვილი და შვილიშვილებიც. ჩემი გვარი გახლავთ სულაძე, სახელი გრიგოლი. დაბადებული ვარ ქუთაისში 1897 წელს. ვცხოვრობდი ფერმის ქუჩაზე. ჩვენი სახლის გვერდით ჩამოდიოდა მდინარე, რომელსაც ეწოდებოდა „გვირაბის წყალი“ და მასზე გადებულ ხიდს კი ერქვა „ჯაჭვის ხიდი“. სამშობლოში დავტოვე ერთი ძმა და ერთი და. ძმას ერქვა ვლადიმერი, დას — თამარი. ამავე ქუჩაზე ცხოვრობდა სულაძეების 3 ოჯახი. მამაჩემს ერქვა სამსონი, დედას — სოფიო. ყოველგვარი მიმოწერა შეწყვეტილი მაქვს. მიუხედავად სამშობლოსთან ხანგრძლივი დაშორებისა, ჩემში არ წაშლილა ჩემი ქვეყნისა და ჩემიანების სიყვარული და მსურს სულითა და გულით კავშირი ჩემიანებთან და ჩემ ერთან. ერთი აჭაური ქართველის საშუალებით გავეცანი თქვენს გაზეთს „სამშობლოს“. ძალზე გამახარა და მასიამოვნა ჩვენს ენაზე, ჩემს სამშობლოში გამოცემულმა გაზეთმა.

ბ-ნო რედაქტორო, მოგმართავთ დიდი თხოვნით, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით, თუ შეიძლებელი არის, მომინახოთ ჩემი ნათესავებისაგან ვინმე თუ არის ცოცხალი და დამკავშიროთ მასთან. ეს უდიდესი სიხარული იქნება ჩემთვის და ჩემი გულიც გაიხარებს მოხუცობის დროს. მზად ვარ მივიღო მონაწილეობა ფინანსურად თქვენს ამ კეთილსა და მგრძნობიარე მოქმედებაში. ამავე დროს გთხოვთ, თუ შეგიძლიათ მომაწოდოთ თქვენი გაზეთი „სამშობლო“. მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი თანამემამულე ელიზბარ მაყაშვილი, რომელიც ცხოვრობს ამავე ქალაქში, რეგულარულად მაწვდის გაზეთს. დარწმუნებული ვარ, ბ-ნო რედაქტორო, რომ არ შეგაწუხებთ მეტისმეტად, დააკმაყოფილებთ ჩემს თხოვნას და გაახარებთ უცხოეთში გადახვეწილი კიდევ ერთი ქართველის გულს.

კიდევ გიმეორებთ, ნუ დამერიდებით ხარჯებისათვის, მზად ვარ გადავიხადო რაც კი დასჭირდება ამ კეთილ საქმეს.

პატივისცემით გრ. სულაძე

ჩემი მისამართია: საფრანგეთი, მონპელი, სან-ჟუბერტის ქუჩა № 34.

ჩვენი თანამემამულის გრიგოლ სულაძის სურვილმა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ერთ მყუდრო ოჯახში მიგვიყვანა, სადაც მისი და — თამარი ცხოვრობს.

ძნელია აღწერო სიხარული, რომელიც ამ ოჯახმა განიცადა. ალბათ, ასჯერ მაინც გადაიკითხეს მრავალჯერ დატირებული, მკვდრეთით ამდგარი კაცის წერილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ქალბატონმა თამარმა ძმის სახელზე დაწერილი ბარათი და ფოტოსურათი გადმოგვცა.

სალამი ჩემო ძვირფასო ძმაო გრიგოლ!

გავიგე, რომ ცოცხალი ხარ და საფრანგეთში იმყოფები. მომაგონდა ჩვენი ოჯახი, ჩვენი ბავშვობა, მომაგონდა ის, რაც ჩვენ ერთად, ჩვენს მშობლებთან განგვიცდია სიხარული და ბედნიერება. საწყალი ჩვენი მშობლები რომ ვერ მოესწრნენ ამ ბედნიერებას! მამა 1932 წელს გარდაიცვალა, დედა კი ერთი წლის შემდეგ, 1933 წელს მივაბარეთ მიწას. საწყლები სულ იმის ნატვრაში იყვნენ, შენ ენახეთ, შენი ამბავი გაეგოთ. მაგრამ დაგვეკარგე და ვერ მივაგენით შენს გზა-კვალს.

ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, აღარ გისაყვედურებ, კარგია, ახლა რომ მაინც მოიწერე წერილი. ნეტავ მე მაინც მაჩვენა შენი თავი!

ახლა მოგწერ ჩვენი ოჯახის ამბავს. ვლადიმერი თბილისში ცხოვრობდა. იგი 1956 წელს გარდაიცვალა. დღე არ გავიდოდა, არ მოეგონებინე, შენი სახელობის ფიალაც კი ჰქონდა ოჯახში, და სტუმრები რომ მოვიდოდნენ, შენს სადღეგრძელოს იმითა სვამდა.

ვალოდიას მეუღლე ეფემია ცოცხალია. გულს უხარებს სამი ქალიშვილის — ვერას, ეთერისა და მარგალიტას ბედნიერება.

ეთერს ორი ვაჟი ჰყავს — თემური და მალხაზი, ორივე სტუდენტია, მარგალიტაც გათხოვილია და ჰყავს ქალიშვილი — მანანა. მანანაც უნივერსიტეტში სწავლობს. ჩემი მეუღლეა ზაქარია ჯიქიძე. ვცხოვრობ თბილისში. ჩემი მისამართია: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, მეოთხე კვარტალი, მე-18 კორპუსი, № 8 ბინა.

ჯანმრთელობის მხრივ მეცა და ჩემი მეუღლეც კარგადა ვართ, მაგრამ მოხუცებულობას მაინც თავისი გააქვს. შენს ნახვას თუ ვეღირსე, აღარაფერს ვდარდობ. მომწერე, ვინ არის შენი მეუღლე, შვილისა და შვილიშვილების სახელები, გამომიგზავნე მათი სურათი. ამ სურათზე მე და ვლადიმერის ქალიშვილები ვართ გადაღებული. მარცხნივ რომ დგას მარგალიტაა, შუაში ეთერია, მარჯვნივ კი ვერაა. მოგკითხა და გკოცნის ყველა ჩვენიანი ნათესავი.

ველოდები შენს პასუხს. შენი და თამარი.

რედაქციისაგან:

საამშობლოს მოწყვეტილმა კიდევ ერთმა ქართველმა გაიბა ძაფი შინ დარჩენილ ნათესავებთან, თვითონაც გაიხარა და თავის სისხლსა და ხორცსაც ბედნიერება მოჰგვარა! გულსატკენია მხოლოდ ის, რომ ყოველივე ეს ასე დაგვიანებით მოხდა. არ ვიცით რატომ მიაშურა უცხოეთს ბატონმა გრიგოლმა, რამ ჩაიყვანა იგი საფრანგეთში, სწავლის სურვილმა, ახალგაზრდულმა გატაცებამ თუ იოლი, ყოველმხრივ უდარდელი ცხოვრების ძებნამ, მაგრამ ახლა ყოველგვარი მიზეზი თავის მნიშვნელობას კარგავს, მთავარია, რომ კაცი ცდილობს აღადგინოს კავშირი საკუთარ ერთან, ნათესავებთან, და აკი ეს კავშირიც დამყარდა.

ბოლოს გვინდა ბატონ გრიგოლს მოვახსენოთ, რომ იგი სისტემატურად მიიღებს გაზეთ „სამშობლოს“ და რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება და გაზეთი „სამშობლო“ მომავალშიც მზად არიან გულისყურით მოეკიდონ მის სურვილებს. რაც შეეხება ამა თუ იმ თხოვნის შესასრულებლად ხარჯების გაღებას, რომელსაც ჩვენი თანამემამულე გვთავაზობს, საჭირო არ არის. ჩვენს ქვეყანაში სიკეთე უსასყიდლოდ კეთდება!



● სურათზე: თამარ სულაძე ძმისწულებთან

საქართველო ტურიზმის ქვეყანაა

ცად ატყორცნილი კავკასიონი, ლურჯად მოლივლივე ზღვა, ათასწლოვანი ციხე-დარბაზები, მოქნეულ მთარხივით დაკლაკნილი ბილიკები, მთაში გაჭრილი, მოასფალტებული გზები, აქაფებული, კლდიდან მოვარდნილი მდინარეები და სტუმართმოყვარე ქართველი, კახელი, სვანი, ხევსური, იმერელი, აჭარელი, მეგრელი, გურული, აფხაზი... მთლად მთელი ამერიმერი — ასეთი ხვდება ტურისტებს საქართველო და მოგზაურობის მოყვარულთაც მეტი რა უნდათ, აკი არც აყოვნებენ მოდიან აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან...

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკას უწოდებენ და სამართლიანადაც. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან თუ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს მასპინძლობას უწევს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო, რომლის განკარგულებაშია 28 ტურისტული ბაზა და 12 თავშესაფარი, 3 საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო და 10 საექსკურსიო ბიურო, ტურისტთა 77 საქალაქო და რაიონული ტურისტული კლუბი...

ამ ტურისტულ ბაზებს ერთდროულად 10.000 კაცი შეუძლიათ მიიღონ. წლეულს საქართველოში უკვე იმოგზაურა რამდენიმე ასეულმა ათასმა კაცმა, წელიწადს დამლევამდე კი საქართველოს ნახევარი მილიონი ტურისტი ესტუმრება.

საქართველოში დღეისათვის 43 საკავშირო და 18 ადგილობრივი ტურისტული მარშრუტი მოქმედებს. ისინი იწყება კავკასიონის მთებში და უღელტეხილებით მოემართება თბილისისაკენ, მგზავრობა კი როგორც წესი, მთავრდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს საუკეთესო კურორტებზე...

სტუმრები აღტაცებაში მოჰყავს საქართველოს სამხედრო გზას, თერგთან შეხვედრას, დარიალის ხეობას. ისინი იხიბლებიან რაიონული ცენტრის ყაზბეგის განუმეორებელი სილამაზით, საიდანაც ასე ახლო მოჩანს ზღვის დონიდან 5047 მეტრზე აზიდული მყინვარწვერი. ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად ჩამოსულთა გზა კი სულ მალე და მალე მიიწევს, ჯვრის უღელტეხილის შემდეგ მლეთის თავდაღმართი იწყება, თეთრი და შავი არაგვის შესართავი, აჭვეა ფასანაური, ანანურის ციხესიმაგრე...

უინვალში ტურისტული მარშრუტი ორად იყოფა, ერთი მცხეთისკენ მიდის, მეორე კი თიანეთის გავლით კახეთზე გადადის.

ბევრ ტურისტსა და ალპინისტს იზიდავს ზემო სვანეთი, მესტიის ტურისტულ ბაზაში ყოველდღე მოდიან ჩვენი მთა-ბარის სტუმრები, რომლებმაც კოშკებისა და მიუალ კლდეთა სანახავად კავკასიონის უღელტეხილი გადმოლახეს.

საქართველოს მთებს ეცნობიან აგრეთვე ტურისტული მარშრუტის მონაწილეები, რომელიც ორკონკიძეში იწყება და მამისონის უღელტეხილის გავლით შოვსა და უწერაში ჩადის, აქედან კი მდინარე რიონის ხეობით ქუთაისს აღწევს.

საუკეთესო ტურისტული ბაზებია მოწყობილი სოხუმში, გაგრასა და ახალ ათონში, საიდანაც იწყება გასეირნება რიწის ტბაზე, კურორტ ავადხარაზე, ბიჭვინთაში, გუდაუთასა და ლესელიძეში.

ბათუმში ჩასულ ტურისტებს კი აჭარის დედაქალაქი კომფორტული თბომავლებით ფოთში, სოხუმში, გაგრაში, სოჭში გასეირნებას სთავაზობს.



სამხრეთ საქართველოში მოგზაურობა ბორჯომიდან იწყება. ბაკურიანი, ცხრაწყაროს უღელტეხილი, ვარძია, ზეკარის უღელტეხილი, აბასთუმანი, საირმე, მაიაკოვსკი, ქუთაისი...

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას ემსახურება ტურისტული მატარებელი საქართველო-სომხეთი, საქართველო-აზერბაიჯანი.

დიდი პოპულარობით სარგებლობს მოგზაურობის მოყვარულთა შორის ტურისტული მატარებელი „საქართველო“, რომლის ერთ-ერთი მარშრუტია: თბილისი-კიევი-მინსკი-ვილნიუსი-რიგა-ტალინი-ლენინგრადი-მოსკოვი - თბილისი.

საქართველოს მშრომელებს ყოველ შაბათ-კვირას საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მასობრივ ექსკურსიებში, იმოგზაურონ მშობლიურ მხარეში. მათ განკარგულებაშია თვითმფრინავები, მატარებლები, გემები, კატარღები...

ყოველივე ეს ტურიზმის დღევანდელი დღეა, ხვალ კი... სულ მალე მუშაობას დაიწყებს ფიჭვების ხევის 200-ადგილიანი ტურისტული ბაზა, ახალი ათონის საძილე კორპუსი 280 ადგილით. გაიხსნა ახალი ტურისტული ბაზები გაიხსნება ფასანაურში, სოხუმში, ტამიშში. სტუმრებს მოემსახურება 200-ადგილიანი მოტოოტელი თბილისის ზღვაზე.

ორ-სამ წელიწადში ტურისტული სასტუმროების მშენებლობა დამთავრდება თბილისსა და ქუთაისში, ტურისტული ბაზები აშენდება ვარძიაში, ყაზბეგში, სიღნაღში, შატილში, ვანში, ლაგოდეხში, ავადხარაში. სტუმრებს ფართოდ გაუღებენ კარს 500-ადგილიანი ტურისტული სასტუმროები ბორჯომში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში, სოხუმში.

კომპლექსური ტურისტული ბაზა-სასტუმროების მშენებლობა ახლო მომავლისათვის განზრახულია ბათუმში, გაგრაში, მალთაყვაში, ცხინვალში, ახალციხეში, ურეკში.

ტურისტებს მოეძახებურებათ სპეციალური საჰაერო-საბაგირო გზები. სულ მალე ტრანსპორტის ასეთი სახე უაზბეგში ჩასულ სტუმრებს ყაზბეგიდან სამების ეკლესიამდე მიიყვანს. შემდეგ კი საბაგირო გზა გურგეტის მყინვარსაც მიაღწევდება.

საბაგირო გზები ამუშავდება ბაკურიანში — კოხტაგორაზე, მცხეთაში — ჯვარსა და ზედაზენზე. ახალი ტრასები გაიყვანება სოხუმში პლაჟიდან სოხუმის მთამდე. ფასანაურში ხანდოს მთაზე.

ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა და ხუროთმოძღვართა წინადადება მცხეთის ქალაქ-მუზეუმად გადაქცევის შესახებ, ბევრ საინტერესოს ჰპირდება ტურისტებსაც. მრავლისმთქმელია ჩანაფიქრი — ახალი ათონი გამოცხადდეს ტურისტულ ქალაქად. აქ ამჟამად 500-ადგილიანი ტურისტული ბაზა მოქმედებს, მშენებლობის პროცესშია კომფორტული სადილე კორპუსი 280 ადგილით. ამის გარდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ივერიის კარტული გამოქვაბულის (ანაკოფიის მღვიმის) კეთილმოწყობის სამუშაოები, პირველი ტურისტები აქ გაიხად ჩამოვლენ. ივერიის მთაზევე მიმდინარეობს საბაგირო გზის მშენებლობა...

საქართველოში ჩამოხსული ტურისტები მდიდარი შთაბეჭდილებით ბრუნდებიან შინ. გამომშვიდობების, როგორც წესი, მოსავალ შეხვედრაზე გვესაუბრებიან — აუცილებლად კიდევ უნდა ვნახოთ საქართველო, ამბობენ მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, კუიბიშეველი, მურმანსკელი სტუმრები, მომავალ შეხვედრამდეო, მრავალგზის იმეორებენ პოლონელი, უნგრელი, ჩეხოსლოვაკელი, გერმანელი თუ ბელგიელი ტურისტები — ასე მრავლად რომ იყვხენ საქართველოში, ასე რომ მოიხიბლნენ მისი მშვენებით.

სტუმარ-მასპინძლობის სანაქებო ადათ-წესები საუკუნეებიდან მოგვყვება, ტრადიციების ერთგული ახლა კიდევ უფრო ფართოდ ვუღებთ კარს ჩვენი სიკეთის, ჩვენი მთა-ბარის, ჩვენი დღევანდელი ბედნიერი დღისა და მომავლის სანახავად მოსულ ადამიანებს. ისინიც არ აყოვნებენ. უწყვეტ ნაკადად მოდიან აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან თუ სამხრეთიდან.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მეგობრებო!

გივი ჯიშიაშვილი,
ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.



ტურისტები.

ჩვენი კულტურის თაყვანისმცემელი

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მიიღო ცნობა, რომ გარდაიცვალა იაპონელი მწერალი იპეი ფუკურო.

იპეი ფუკურო იყო ქართული კულტურის დიდი მეგობარი და მოამაგე. მან თავისი სიყვარული და პატივისცემა იმით გამოხატა, რომ იაპონელ ხალხს დედაენაზე პირველმა გააცნო გენიალური „ვეფხისტყაოსანი“.

ჩვენთვის ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ ორი გამოცემა იაპონურ ენაზე: ფუკუროსეული პროზაული თარგმანი, რომელიც პირველად გამოვიდა ტოკიოში 1955 წელს და მისივე (კვლავ პროზაული), 1961 წელს იქვე დასტამბული, უკანასკნელი თარგმანი მშვენივრად არის გაფორმებული იაპონურ სტილზე ფერადი ილუსტრაციებითა და გარეკანით (მხატვარი ხაიასე ტადაჩი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იპეი ფუკუროს 1968 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იტყობინებოდა, რომ უკვე დაამთავრა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი იაპონურ ენაზე და უახლოეს დროში გამოსცემს. ეს იქნება მესამე გამოცემა და ამჯერად უკვე პოეტური თარგმანი, რომელიც ქართული კულტურისათვის ფრიად საყურადღებო მოვლენაა.

ასეთია იპეი ფუკუროს ღვაწლი ქართული კულტურისადმი, რომელსაც ჩვენი მადლიერი ხალხი პატივისცემით მოიხსენიებს.

უკანასკნელი როლი

მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე საერთო მოწონება დაიმსახურა სსრ კავშირ-იტალიის ერთობლივმა ფილმმა „ვატერლოო“, რომელშიც გერმანელი ფელდმარშალის ბლიუხერის როლს ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი, აწ განსვენებული მსახიობი სერგო ზაქარიაძე ასახიერებს. ფილმმა, რომელიც ლონდონშიც აჩვენეს, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ინგლისიდან გამოგზავნილ სტატიაში „იზვესტიის“ ლონდონელი კორესპონდენტი კობში წერს: „შეიძლება ფილმზე ბევრი ილაპარაკო, შეიძლება იკამათო კიდეც. მაგრამ ცხადია: მასზე იხტატები მუშაობდნენ. როგორ დავიწყოთ ღვინო XVIII-ის ევიზოდური როლი ამერიკელი მსახიობის ორსონ ველესის შესრულებით? ან ამჟამად გარდაცვლილი სერგო ზაქარიაძე? განა შეიძლება თითქმის უსიტყვოდ, უფრო ძარღვიანად და ზუსტად ასახო ომის ბებერი ჭორი, გერმანელი ფელდმარშალი ბლიუხერი? უზადოა იტალიელი არმანდო ნანიუცის ოპერატიული ნამუშევარი“.


ფელდმარშალი ბლიუხერი კინოში დიდი ქართველი მსახიობის უკანასკნელი გამოსვლა აღმოჩნდა...

ფოლკლორისტთა ძვირფასი ნაძენი

თბილისში დაბრუნდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიცია.

ექსპედიციამ გამოავლინა ორმოცდაათზე მეტი მთქმელი და ავტორ-მთქმელი, ჩაიწერა მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ფოლკლორული ნიმუშები. ექსპედიციის ჩანაწერებშია ძველი წარმართული თქმულებები, ადგილობრივ ტოპონიმებსა და ონომასტიკასთან დაკავშირებული ლეგენდები, ზღაპრები, საგმირო და ისტორიული ლექსები, სატრფიალო შაირები. მაგნიტოფონის ფირზეა აღბეჭდილი მუსიკალური ფოლკლორის უამრავი ნიმუში, რომელთაგან ზოგი დღემდე უცნობი იყო.

ექსპედიციამ შემოიარა დაბა ჯვარი და მის ახლოს მდებარე სოფლები — მუქავა, ნაკიფუ, ჩქვალერი, ჭალა, ლეშამგე და სხვა.



სურათზე: პანსიონატი „თბილისის ზღვა“.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

„თბილისის ზღვა“

ღიეთიდღე მშვენდება თბილისის ზღვის სანაპირო. ადრე გადატრუსული გორაკები და ველ-მინდვრები თანდათან მწვანეში ეფლობა და კეთილმოწყობილი ხდება. სულ ახლახან ზღვის მიდამოებში აღიმართა 250-ადგილიანი უნიკალური სასტუმრო-პანსიონატი. არქიტექტორ ოთარ მიქელაძეს, ვაჭრობის სამინისტროს სამშენებლო-შემკეთებელი სამმართველოს მშენებლებსა და მხატვრებს ნუკრი შავგულიძეს, ენრიკო კოპაძესა და რობერტ გვაზავას ბევრი უშრომიათ იმისათვის, რომ მრავალსართულიანი ეს შენობა ლამაზი, მოხერხებული და ხალვათი გამოსულიყო, დამსვენებელს ჰქონოდა კომფორტი, მშვიდი და წყნარი ცხოვრების, გართობისა და მხიარულების სრული პირობები. პანსიონატის რვა სართული დათმობილი აქვს სასტუმროს. ძვირფასი მოდური ავეჯით მოწყობილი ორ, სამ და ოთხადგილიანი ნომრები ღია ვერანდებითა და ზღვისკენ გადაკიდებული აივნებით არის დამშვენებული, საიდანაც იშლება შესანიშნავი პეიზაჟი. ორი სართული რესტორანს უჭირავს. იშვიათი გემოვნებით არის გაფორმებული ქართული დარბაზი, რომლის ჭერი და კედლები ხით არის მოპირკეთებული და ეროვნულ მოტივებზე შესრულებული ჭედური ნაკეთობანი ამკობს.

პირველ სართულზე მოწყობილია მდიდარი ბიბლიოთეკა ძირითადად ქართული წიგნების ფონდით. აქვე განლაგებულია ქალთა და ვაჟთა სილამაზის სალონები.

პანსიონატი „თბილისის ზღვა“ მზად არის სტუმრების მისაღებად.

ქ ა რ თ უ ლ ი ფ უ ტ კ ა რ ი

დღეს მოსკოვში მუშაობას იწყებს მეფუტკრეობის XXIII საერთაშორისო კონგრესი. უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მეფუტკრეთა სიტყვა და აზრი კონგრესის მუშაობის ცენტრშია. მეფუტკრეთა ფორუმზე ჩამოსული პირველი დელეგაცია საქართველოს 17 აგვისტოს მსტუმრა, საფრანგეთისა და შვეიცარიის ცნობილი მეცნიერები დიდი ინტერესით გაეცნენ ოქრის მედლის ირგვლის მფლობელის ქართული ფუტკრის ცხოვრებას, მის სამშობლოს.

დამთავრდება კონგრესი და ქართველი მეფუტკრეები კვლავაც გულდიდა მასპინძლობას გაუწევენ უცხოელ კოლეგებს, კიდევ ერთხელ მოუთხრობენ სტუმრებს, თუ როგორი თავდადებული შრომა იცის ქართულმა ფუტკარმა, როგორი ღონიერი და ამასთან როგორი თვინიერია იგი...

ქართული ფუტკრის სიკეთეზე გვესაუბრება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, სწავლული მეფუტკრე ოთარ წულუკიძე.

მეფუტკრეობას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. ქსენოფონტეს „ანაბაზისში“ აღწერილია, თუ როგორ მოიწამლა კოლხეთში ბერძენთა ჯარი „მათრობელა თაფლით“. აქვეა აღნიშნული, რომ კოლხეთში იმ დროს ძალზე ბევრი ფუტკარი იყო და კოლხებს თაფლი დიდი რაოდენობით ჰქონდათ დაგროვილი.

საქართველოში შინაური მეფუტკრეობის განვითარებაზე საკმაოდ ბევრი მასალა შეგვინახეს ლანგსტროტ ლარენცოლორენის, ვასუშტი ბაგრატიონმა და სხვა მეცნიერებმა. საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში გვხვდებოდა „თაფლის კლდეები“, სადაც დიდი რაოდენობის ფუტკარი ბუდობდა და მოსახლეობაც სისტემატურად სარგებლობდა მათი ნაყოფით. აი ზოგიერთი მათგანი: „შავარდნის კლდე“ — ხევსურეთში, „სათაფლიას ქვა“ — ვანის რაიონში, „სათაფლია“ ქუთაისის მახლობლად, „სათაფლიის კლდე“ ლეჩხუმში და ასე შემდეგ.

ქართველი კაცი ხელადა ფუტკრის სიკეთეს და მეფუტკრეობის განვითარებისათვის ზრუნავდა. *1860 წელს გურიის თავადმა ნაკაშიძემ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე, რათა მისთვის, მეფუტკრეობით დაინტერესებული კაცისათვის, ხუსხი მიეცათ. იგი წერდა: გურიის თაფლი ევროპის ბაზარზეა ცნობილი თავისი დიდი ღირსებით, მე ვიღებ 500-600 ფუთამდე თაფლსა და 50-60 ფუთამდე ცვილსაო.*

როგორც ირკვევა, ნაკაშიძეს თავის მამულში 1864 წელს მეფუტკრეობის სკოლაც კი გაუხსნია.

ქართული ფუტკარი მსოფლიოში პირველად უცხოელ მეცნიერთა შორის აკადემიკოსმა პალასმა შეისწავლა, ხოლო გერშტეკერმა 1866 წელს პალასის თეორიული მონაცემები ხელმეორედ დაამუშავა და მას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა.

1877 წელს გამოჩენილმა რუსმა ქიმიკოსმა ბუტლეროვმა, რომელიც ახლო გაეცნო ქართულ ფუტკარს, მეფუტკრეთა თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება — კავკასიური (იგულისხმება ქართული — ო. წ.) ფუტკარი და მეფუტკრეობა კავკასიაში. ამის შემდეგ რუსეთის მოწინავე საზოგადოება ერთგვარად დაინტერესდა კიდეც ქართული ფუტკრით. 1879 წელს კი ბუტლეროვმა ჩვენებური ფუტკარი ამერიკაში თავის კოლეგებს გაუგზავნა და საფუძველი ჩაუყარა ქართული ფუტკრის მოგზაურობას მსოფლიოში...

ქართული ფუტკრის შეუდარებელ დადებით თვისებებზე მრავალგზის გამოთქვეს თავიანთი აზრი ცნობილმა მეცნიერებმა ამერიკელმა ბენტონმა, რუსმა კლინგენმა და სხვებმა, მაგრამ ცალკეულ ადამიანთა ცდა ნაყოფს ვერ იღებდა, საქართველოში მეფუტკრეობა მეცნიერულ სიმაღლეზე მხოლოდ ჩვენს დროში ავიდა.

მკითხველებს გავაცნობ უკანასკნელი წლების მიღწევებს.

დღეს საქართველოში 200.000 ფუტკრის ოჯახია. მთელ რიგ სამეურნეოებში მეფუტკრეობა წამყვან დარგად ითვლება და გამოცდილი მეფუტკრეები წლიდან წლამდე დიდძალ თაფლს იღებენ.

1959 წელს თბილისის მახლობლად, სოფელ ოქროყანაში შეიქმნა საქართველოს მეფუტკრეობის საცდელი სადგური, რომელიც მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. აქ დღითიდღე აუმჯობესებენ ქართული ფუტკრის ძვირფას ჯიშურ თვისებებს.

და მაინც, რით გამოირჩევა ქართული ფუტკარი სხვა ქვეყნების ფუტკრებისაგან?



ქართული ფუტკარი ადრე იწყებს და ყველაზე გვიან ამთავრებს მუშაობას, ძალზე შორს მიდის ღალის მოსატანად, მამაცი, აქტიური და ღონიერია, იგი სხვებზე ადრე პოულობს სკის გარეთ საკვებს და სხვას არ უშვებს მის მოსაპოვებლად, შედარებით ადვილად იტანს დაბალ ტემპერატურას, როცა სხვა ფუტკრები სიკდან სიცივის გამო ვერ გამოდიან, ქართული ფუტკარი განაგრძობს საქმიანობას. მუშაობას არც მცირე წვიმის დროს წყვეტს, ადვილად იცავს საკუთარ ბუდეს სხვა ფუტკრებისაგან. აქვს ძალზე გრძელი ხორთუმი, რაც უადვილებს ყვავილისაგან ნექტრის ამოღებას, ასე გასინჯეთ, იგი წითელი სამყურიდანაც კი აგროვებს ნექტარს, რაც სხვებისთვის მიუწვდომელია და, ბოლოს, ჩვენი ფუტკრის უდიდეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მომსახურე პერსონალს უნიღბოდ შეუძლია მასთან მუშაობა. სკის გასინჯვისას არ ღელავს და ბუდიდან ამოღებული ჩარჩოდან პირდაპირ ღალაზე მიფრინავს.



უყოველივე ამ თვისების გამო აღიარეს მსოფლიოში საუკეთესოდ ქართული ფუტკარი. თუ როგორ დაამტკიცა თავისი უპირატესობა სხვათა მიმართ ქართულმა რუხმა ფუტკარმა, მოვიყვან ერთ მაგალითს. 1961 წელს ქალაქ ერფურტში (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოწყობილ საერთაშორისო გამოფენაზე მრავალი ქვეყნის ფუტკარი იქნა წარმოდგენილი. არახელსაყრელი კლიმატური პირობების მიუხედავად, გამოფენის პერიოდში ჩვენმა ფუტკარმა 97,3 კილოგრამი თაფლი შეაგროვა, მსოფლიოში მანამდე საუკეთესოდ აღიარებულმა იტალიურმა ფუტკარმა კი მხოლოდ 29,5 კილოგრამი თაფლის შეგროვება შეძლო. რაღა თქმა უნდა, ჟიურიმ გამარჯვებულად ქართული ფუტკარი ცნო და მას ოქროს მედალი არგუნა, ასევე ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა ჩვენი ფუტკარი 1965 წელს რუმინეთში მოწყობილ მეფუტკრეობის მსოფლიო XX საიუბილეო კონგრესზე.

ქართულ ფუტკარზე დღეს მთელ მსოფლიოში ძალზე დიდი მოთხოვნილებაა. ფუტკრებს საქართველოდან ვგზავნით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, იტალიაში, საფრანგეთში, კუბაში, იაპონიაში, ირანში. აღსანიშნავია, რომ კანადელ ფერმერთა 70 პროცენტი ქართული დედა ფუტკრის გამოყვანას აწარმოებს. „მარშან, ცუდი ამინდის მიუხედავად, ქართულმა ფუტკარმა 69 კილოგრამი თაფლი მოგვცა, ჩვენებურმა ფუტკარმა კი 27 კილოგრამი. გმადლობთ ასეთი საუკეთესო ფუტკრების გამოგზავნისათვის“, გვწერენ ბულგარელი კოლეგები.

აი როგორი წერილი გამოგვგზავნა ცნობილმა რუსმა მწერალმა ბორის პოლევოიმ. „მე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს საუცხოო ქართულ ფუტკართან, 10 წელიწადზე მეტია ისინი ჩემთან არიან და დიახაც რომ კარგად გრძნობენ თავს, გთხოვთ ფუტკრის ხუთიოდე ოჯახი კიდევ გამომიგზავნოთ“.

ფუტკართან, კერძოდ კი ქართულ ფუტკართან მეგობრობას ახლა მთელ მსოფლიოში ესწრაფვიან და არცთუ უსაფუძვლოდ: თაფლის კვებითს თვისებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მეფუტკრეობიდან მიღებული პროდუქტების გამოყენებას მედიცინაში. ჯერ კიდევ ძველად თაფლს იყენებდნენ კუჭ-ნაწლავისა და სასუნთქი გზების სამკურნალოდ, მცენარეულ მედიკამენტებთან ერთად თაფლი ითვლებოდა ჭრილობებისა და წყლულების უებარ წამლად. ცვილს დიდი გამოყენება ჰქონდა ძველების მოტეხილობის სამკურნალოდ, ხოლო დინდგელით კბილებს მკურნალობდნენ.

თაფლისაგან სასმელებიც მზადდება. საქართველოში საკმაოდ არის გავრცელებული თაფლწყალი და შარბათი, სანთლის არაყი, ჩაგი და სხვა.

რა თქმა უნდა, ქართული ფუტკრის ყველა ღირსების ჩამოთვლა ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია. მის შესწავლას ხომ მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ჩვენი მიწის ფუტკარზე მრავალად ითქმება XXIII საერთაშორისო კონგრესზეც. რესპუბლიკის მეფუტკრეები დღეს სიამაყით აცხადებენ, რომ დღითიდღე ამრავლებენ ქართულ ფუტკარს. მუხურაში, სოხუმში, სამტრედიაში, ხარაგოულში, სიღნაღში, ყვარელსა და სამგორში, სადაც შექმნილია მეფუტკრეობის სამმართველოს ფუტკრის მოშენების სახელმწიფო საჯიშეები, მეფუტკრეობა აყვანილია მეცნიერულ დონეზე, სკებს თავს დასტრიალებენ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც ზრუნვასა და მოვლას არ აკლებენ ორგზის ოქროს მედალოსან ქართულ ფუტკარს.

სურათებზე: ქართული ფუტკრის ოქროს მედალი; ოთარ წულუკიძე (მარჯვნივ) ფრანგ სტუმრებთან.

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

რუსთაველის პრემიის ლაურეატები

ბედნიერი გუშინისდება



ორი საათი დარჩა სპექტაკლის დაწყებამდე.

საოცარი სიჩუმეა ირგვლივ, ისეთი სიჩუმე, შეიძლება შეგაკრთოს კიდეც.

გარინდულან შიშველი, არაფრისმთქმელი კედლები.

ფრთამოტეხილივით დაშვებული ბევრისმნახველი დეკორაცია.

თვალებდათხრილებს ჰგვანან თალხისფერი „პროჟექტორები“.

ობლად ჰკიდია ნახმარი, გახუნებული ტანსაცმელი.

სიჩუმეა ირგვლივ, რაღაც საოცარი სიჩუმე, ზღვაზე ქარტეხილის წინ რომ იცის, ისეთი. თითქოს უველაფერი ნახტომისათვის, წვეისა და აფეთქებისათვის არის გამზადებული. მაგრამ უტყვია, რადგან არ არის კაცი, რომელიც აამოძრავებს საგნებს, აანთებს, ააგიზგიზებს...

ორი საათი დარჩა სპექტაკლის დაწყებამდე.

ჩაბნელებულ დერეფანში გაისმის მოღლილი თუ მორიდებული ნაბიჯების ხმა. გასაღების ჩხაკუნი ბუდეში, ერთბაშად იხსნება მსახიობის საპირფარეშოს კარი და ასე ღია რჩება იგი ხუთი საათის განმავლობაში.

ოთახში შემოდის საშუალო ტანის, თითქოს მხრებში მოხრილი, მაგრამ საოცრად მკვირცხლი ალნაგობის ადამიანი. შუბლდაღარული, ოდნავ კეხიანი ცხვირით, ვიწრო, მუდამ მომღიმარე ტუჩებით და თხელი, მონაცრისფრო, უფრო კი მუქი ბოლისფერი ფაფრით. თვალები — საოცრად მეტყველი და ცქვიტი, თითები — მოუსვენარი, მზედაუკრავი, მაგრამ ენერგიადაუკარგავი, რომელთაც მის მოღლილ სახეზე უამრავჯერ შეუსრულებიათ მოქანდაკის როლი. რა სახე არ გამოუძერწავთ მათ...

სისხლსავსე ახმა,
ფილიგრანული ფიგარო,
შარლატანი ხლესტაკოვი,
კისკასი დონ სეზარი,
მაწყევარი სანტოსი,
მამულიშვილი ერეკლე,
გულღია ავეტიქა,
გულღვარძლიანი რიჩარდი,
კერპი ბროუდი,
მოკვეთილი ბახა,
მოსულელო ბაღდასარი,
ლექსადმოუბარი ბესო,
ეჭვდაღრღნილი ფილიპე,
ანგარიშიანი არშაკი,
ღორმუცელა ლუარსაბი,
ოფოფებიანი ოფოფიანცი.

ტრაგიკომიკური პატი... და ვინ იცის, სად წაგვიყვანს ყველა მათგანის ჩამოთვლა. არც ერთი დიდებული მოქანდაკე არ დაიწუნებდა ასეთ მდიდარ პალიტრას, ესოდენ განსხვავებულ სახეებს.

მაგრამ ეს კაცი მსახიობია, მსახიობი ვახო გოძიაშვილი.

შემოდის იგი საპირფარეშოში, გადაკითხული გაზეთების შეკვრას მაგიდაზე დადებს, მშვიდად ჩაეშვება სავარძელში და ჩაბნელე-

ალექსანდრე შანიძე

დიდგორის ომი

„საქართველოს მრავალ გორას შორის არის ერთი, უპირველესი, თავისი ისტორიული მნიშვნელობით, არა, იგი არც ლაშარის გორია, არც სპათაგორი, არც ლომისა თუ მთაწმინდა... მე დიდგორს ვგულისხმობ“ — ასე წერდა ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთ „კომუნისტში“ ჩვენი სასიქადულო მწერალი ლევან გოთუა და მართლაც, სწორედ დიდგორის ველზე 1121 წელს 15 აგვისტოს გადაიხადა გადამწყვეტი ბრძოლა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც ჩვენი ერის ბედი ოქროს ხანის აღმავლობისაკენ შემოაბრუნა.

850 წლის წინათ ქართველთა მიერ მოპოვებული გამარჯვება დაედო საფუძვლად ალექსანდრე შანიძის ისტორიულ პოემას „დიდგორის ომი“.

გთავაზობთ ნაწყვეტს პოემიდან.

დავით აღმაშენებლის სიტყვა ბრძოლის წინ

ეჰა, მოძმენო ქართველნო,
ქრისტიანებო სჯულითა.
მე, მეფეთ-მეფე, ჩემს სამწყსოს
შემოგავედრებთ გულითა.
შემოგავედრებთ წრომს, გელათს,
ტაძრებს დალოცვილს ბურჯითა.
მათაც; თუ რისი მძლისი ვარ
სამეფო სიგელ-გურჯითა.
არ დაგვებინდოს სამშობლოს
ცა მთიებდაუტევნელი,
გვიძღოდეს გორგასლიანი
წინ დროშა დაუძლეველი.
ჟამი დაგვიდგა, კვლავ გვიხმობს
წმინდა მამულის მთა-ველი.
ჟამი დაგვიდგა, ურჯულო
მტერთ სისხლის დასათხეველი.
ერთურთს შევფიცოთ, რაინდნო,
ხმალში წრთობილნო ომითა.
მამაცნო ივერიელნო,
მოსულნო თუშ-ფშავ ფხოვითა.
მზე დაუბნელდეს უკუნით
უკუნისამდე გლოვითა,
ვინაც გვიმუხთლოს, მზაკვრულად
უკან ილტვოდეს ძრომითა.
ნიჩბისის ხევი ჩავხერგეთ
მუხის და ვერხვის მორებით.
უკან ვერავინ დაიხევს
საბილიკონის მორებით.
უველგან გზებია დახშული,
ლოდებით, ქვათა ყორენით.
ბევრი ეწადოს, ეცადოს,
ვერ გადუვლიან ყორნები.
ზემორე მითქვამს, გვიძღოდეს
დროშა უწმინდეს თვალისა.
ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა,
მკერდი უმტკიცეს რვალისა.
წამის-წამ გვმართებს ფხიზლობა,
არ დაყოვნება ხანისა
ქორებულ მიჭრა, რბევანი
მტერთა სამნის და კარვისა.
არ დაგვეცრემლოს პურ-ღვინო,
ქართული სუფრა ლხინისა.
გამხნევდით, გული არ გრძნობდეს
შეღონებას და ტკივილსა.
შევძახოთ, როგორც ჭიუხზე
არწივი იწყებს ყივილსა.
გაჰქონდეს ველზე ღვღვავი
მტერთა კვნესას და კივილსა.
მძიმეა, დამაფიქრველნი,
მოსვლა ხვალინდელ ჟამისა.
კეთილი იყოს ბრძოლის წინ
სიმშვიდე ამა ღამისა...



კვლავ ომში გმართებთ სისწრაფე
ისე ვით თვალთ ხამხამისა,
მენახოთ გამარჯვებულნი,
მარად მდომი ვარ ამისა.
ომში თუ ვინმე ხელობდეს,
საქები, მოსაწონია.
გმირი ხან უნდა აფთრობდეს,
გრგვინავდეს ვეფხვთან სწორია.

მტრის ჩეხვა, სისხლის დენანი,
დანგით ვის აუწონია.
მხდალი, ლაჩარი, მშიშარა,
ვერც შინ დიაცის მძღოლია.
მეფე ვარ სამწყსო მამულის,
მარადის თქვენზე მზრუნველი.
ვიყოთ თურქ-სელჩუკ, არაბთა
ძირ-ფესვის ამომძირკველი.
ისე ვით მომხდურ მტერს სცვეთდა
კბილებს ვეფხია პირველი,
მამულისათვის მენახოთ
თქვენც მისებრ თავგამწირველი.
შავ ურდოთ თავზარმცემელი
ჩვენთანა უფლისციხელი.
მის თვალთა შუქი ეფიანის
ხვალ გამარჯვებას ვინც ელის.
მტერს უნდა ვაფიქრებინო
არ გვძალუძს ომი ფიცხელი.
საბრძოლო მოხერხებანი
ვაჩვენო გასაკვირველი.
ადრეა, შემდეგ გეცნობათ,
რაცა მსურს, რაცა მწადია.
განკითხვის ჟამი ეწვია
მამულის მიწას მადლიანს.
მტერს გველთა ხვრელი ვანატრო,
ეს მითქვამს, დამიჭადია.
ღმერთო! ნათელი მოჰფინე
ხვალინდელ ომის განდაღმ...
ძმანო, თუ სჯულის დაცვისთვის
ვიომებთ გულის ნდომითა.
ვიომებთ ხმლით და ფარ-შუბით,
ამირანს დარი ღონითა.
მტრის სისხლით დაიტბორება
ხევ-ხუვი, ეს დიდგორიცა,
ძმანო, არ წასაგებელი
მაშინ გვექნება ომიცა.
ვის უთქვამს ქართველთ ჯაბნობა,
ომში გრგვინვა და მეხია.
ეშმაკის მოციქულები
მუმლივით შემოგვეხვია.
იმათ კი არა, დიდ ეშმაკს
უნდა მოვტეხო ფეხია.
ესა მსურს, დავითს ეს მითქვამს
და არა დამიკვეხია.
მამულიშვილნო! გწყალობდეთ
ზენა ყოვლის მძლე, მაღალი.
კურთხეულ იყოს თქვენი გზა,
გაუცვეთელი ფარხმალი.
ღვთის სჯულისათვის ვიომოთ,
ესა ოცნება ახალი.
მტერი ვამსხვრიოთ, ვით ღორღი,
კლდის ჭიმზე შემონახალი.
ცისკენ აღვაპყროთ ხელები,
ღმერთს აღთქმა მივცეთ ქებულა,
რომ მისი სიყვარულისთვის,
ჩვენ, გოლიათთა კრებული,
ან გავიმარჯვებთ, ვიქნებით
მამულიშვილნი რჩეული,
ან უველა დავიხოცებით,
დავრჩებით სისხლდათხეული.
— ამინ, მეფეო!... შესძახა
წინ მდგომმა უფლისციხელმა.

ხმლის ვადას ხელი ჩაბღუჯა
უდეგარ გულით ფიცხელმა.
ფეხი წინ წარდგა, კლდის პირას
ბუჩქნარში გადაიხედა,
ერთი ყივჩაღი შენიშნა,
სდუმდა და არა ილხენდა.
მეფემ წინ მდგომი მღელვარე
დააშოშმინა ურბნელი,
რომლის თვალთაგან სჭვიოდა
მტრისათვის რისხვა და ღრუბელი.
მანაც შესძახა დავით დიდს —
ჩვენ რა გვაქვს განუკურნელი,
ან გავიმარჯვებთ, ან უველა
ხვალ ომში დავიღუპებით...
მეფემან ბრძანა დილამდე
შესვენებანი მხედრების.
ველზე აქა-იქ შალაგდნენ
ვაჟკაცნი ღვთისა ვედრებით.
არწივთა გუნდებს აევსოთ
ხევი, ზემორე ტყე-ველი.
კლდისებრ უტეხნი, გულადნი,
სპა ჩანდა დაულეველი.
უველგან გამეფდა დუმილი
ვით მიწა საგოდებელის.
ვინ იცის, ვის გულს რა ჰქონდა
დარდი და საღონებელი.
ზოგს შინ პირიმზე ელოდა
ოცნების შემამკობელი,
ზოგი მტრის შებმას ლამობდა
იყო მისი გზის მგმობელი.
მეფემან სამკლავეები,
ფარ-მუზარადი მოიხსნა.
ლოდთან დაწყო, რაინდი
სადარი იყო ლომისა.
იქვე თრთოლავდა მერანი
ფერად უთეთრეს თოვლისა,
თითქოსდა იყო გამგები
პატრონის ფიქრთა ყოვლისა.
ფაფარზე ხელს გადაუსვამს
გმირი დარდ განუქარველი.
დალოცავს იმედს, თან ეტყვის —
რა გზები ვლახეთ, მთა-ველი.
შენა და ხმალი იქნებით
ხვალაც დიდ ომში მფარველი...
მიმოიხედავს, დიდგორის
სდუმს მთელი შემოგარენი.
მეფე ქვის ქიმზე ჩამოჯდა,
იყო უტყვი და მდუმარე.
სადღაც ქართის მთის მწვერვალებ
ნისლებმა გადაუარეს.
აქეთ ბენდერის ჭარაფნი
დევებსა ჰგვანდნენ მგლოვარეს,
მხოლოდ მთიები შორს ციდან
იყო შუქ-ნათლის მთოვარე.
ხან სიო წამოუქროლებს,
ხან ხევს აჩქამებს მდინარე.
ველზე მსტოვარნი დადიან,
უთვალთვალებენ მძინარეთ.
მეფე დავითი კვლავ ფხიზლობს,
უშიში, არა მღიმარე.
ფიქრობს და თითქოს კვლავ მის წ
ომი ბობოქრობს მძვინვარე.

ბულ სარკეს მიაპყრობს მზერას.

არაფერია აქ უჩვეულო: კაცი შემოვიდა, სავარძელში ჩაჯდა, შუბლზე ხელი შემოიდო და სარკეში ჩაიხედა. ზის იგი და ფიქრობს. ძნელია თქმა, რაზე ფიქრობს, მაგრამ მისი ოდნავ მოჭუტული, მოუსვენარი თვალები გაუწყებენ, რომ ფიქრობს.

ფიქრობს ათი წუთი, ოცი, ორმოცი, ერთი საათი...

ერთი საათი დარჩა სპექტაკლის დაწყებამდე

დერეფანი ნათდება და სიჩუმეც ირღვევა. აგერ ვიღაცამ გაიარა, მერე ორმა.. ახლა ოთხია... გადაწეული ფარდის იქით სილუეტები ამოძრავდნენ.

— გამარჯობათ, ბატონო ვასო!

— ო, ქოჩორა!

— გამარჯობათ, ბატონო ვასო!

— გაგიმარჯოს, თანდილ!

— საღამო მშვიდობისა, ბატონო ვასო!

— გაგიმარჯოს, მონო.

მშვიდად დგება და გახუნებულ ტანსაცმელს საკიდიდან ხსნის. აქაც არაფერია არაჩვეულებრივი, თითქოს არც აქ არის ხელოვნება.

არ არსებობს მოვლენა მსოფლიოში, რომ მის სწრაფას გამოეპაროს.

არ გამოდის წიგნი, რომ აზრი არ გამოთქვას მასზე.

არ იდგმება სპექტაკლი, საკამათო არ ჰქონდეს.

არ იმართება შეჯიბრება, გვერდი რომ აუაროს.

არ არსებობს ადამიანი, თუკი ერთხელ შეხვედრია, არ ახსოვდეს.

— ის როგორ იყო, ბატონო ვასო?

— ეჰ...

— ჩვენები რომ ჯგუფურად გაფრინდნენ.

— მააშ.

— სტატია მოგეწონათ?

— ძალიან, ძალიან.

— ვინ იყო ის კაცი, ბატონო ვასო?

— თეატრმცოდნე ერეკლიდან.

— რაო?

— გუშინ ჩვენი სპექტაკლი ენახა.

— მერე?

— ძალიან...

— რა ძალიან?

— ძალიან... ძალიან...

ისხდა მსახიობის საპირფარეშო. ვინ საკარძელში ზის, ვინ უკანაც დგას. ხოლო ახლა, ვინც დერეფნიდან ვერ ხედავდეს მოსაუბრეს, გამომცერალან და ზედ მის ფერხთით მორთხმულან ხალიჩაზე. რადგან არ შეიძლება უსმენდე მას და არ ხედავდე. იმდენად არტისტულია, იმდენად უჩვეულო, იმდენ საზრს ჭვრის ერთი პატარა ამბის მოყოლაში, რომ გინდა უსმენდე და ხედავდე კიდეც

— ბატონო ვასო, რა იქნება, ერთი ასეთი საღამო რომ მოვაწყოთ: წარმოიდგინეთ ცარიელი სცენა. დგას მხოლოდ ერთი სავარძელი. არავითარი დეკორაცია. არავითარი მუსიკალური თანხლება. გამოდიხართ თქვენ და იწყებთ მოყოლას. ჰყვებით იმას, რაც უცებ გაგახსენდებათ. მერე ვიღაც მოგაგონებთ რაიმე ფაქტს ან ისევ თქვენ გაიხსენებთ, რას იტყვით?

— ეჰ...

— რა, ნაკლები თეატრი იქნება?

და ისევ შეკითხვები, სიცილი, ხორხოცი. მერე ზარი და უცებ იცლება საპირფარეშო. რჩება ის მარტო თავის თავთან და თავის სახეხთან. კარი კი მაინც არ იკეტება, კარი კი მაინც ღიაა ყურთამდე.

თითქოს ჩუეულებრივი ამბავია. კაცი ჩუეულ ამბავს და უსმენენ. ვითომ ჩუეულებრივი? ვითომ არ არის აქ შემოქმედება?

რუსთაველის პრემიის ლაურეატები

— მოგილოცავთ, ბატონო ვასო, რუსთაველის პრემიას.

— გმადლობთ.

— გკოცნით, გეხვევით...

— ყოჩაღ, იაშა.

— რას იტყვით, ჰა!

— ძალიან, ძალიან.

— ლამაზი ემბლემაა.

— უველგან ვატარებ. არასოდეს, არასოდეს არ მოვიხსნი.

— მაღარიჩი თქვენზეა.

— მააშ, ბოლოკი ვაჭირისა, გუდის უველი ახმეტური, დედის პურები თელავისა, ღვინო მანავისა, გოჭი მეგრული, თოხლიც ფასანაურისა. მააშ, ძალიან, ძალიან.

ბედნიერი გუთნისდედაა, რაც მოხნა და დათესა, უველაფერი მოიმკო.

რაც დაწურა, უველაფერი შეირგო.

რაც გასხლა, უველა ულორტმა ამოიყარა.

რაც მწუემსა, უველა დაეზარდა.

ახლა რამდენი სახნავ-სათესი, დასაწურ-გასახსნავი და სამწუემსო აქვს?

მსახიობებიდან ერთ-ერთმა პირველმა თქვა ეს დიდი პატივი, ეს უდიდესი ჯილდო ქართველისათვის.

პირველობა არ მოჰკლებოდეს მესამე ზარი.

ბუთი წუთი დარჩა სპექტაკლის დაწყებამდე

აღარაფერი აღარ დარჩა.

სცენაზე მოღლილი თუ მორიდებული ნაბიჯით შემოვიდა მსახიობი. უცებ გამოცოცხლდა უველაფერი. გახუნებულ ტანსაცმელს ელვარება შეემატა. გაიშრიალა ფარდამ. გაივსო უკაცრიელი დეკორაცია. აბრდღვიალდნენ თვალებდახრილი „პროყექტორები“. გუგუნი აირეკლა გამოფხიზლებულმა კედლებმა და დაიწყო შემოქმედება. შემოქმედება და როგორი?

ესეც ქარტეხილი სიჩუმის შემდეგ!

ჯემალ მოსიაშვა,

მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი.

(ჟურნალი „ახალგაზრდა კომუნისტი“)

სურათზე: ვასო გოძიაშვილი რიჩარდ III-ის როლში.

რუსთაველის პრემიის ლაურეატები

ქიდი სიყვარულის საგალობელი

ქართული რიკულებიანი საბერი. ვაზისა და ლურჯთვალა ბვიარათი შემოსილი აივნის ბოძები. პატარა ბაღი, აყვავებული ვარდები, მწვანე კოინდარი და... ტაძრები. ქვის ყვავილებივით მიმობნეული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები: ალავერდი, გრემი, ნეკრესი, ერეკლე მეფის სასახლე, ნინოწმინდა, ჯვარი.

კულტურის ძეგლთა სავანედ ქცეულა აქაურობა.

სასოებით. ვათვალიერებ. თვალს ვხუჭავ და ყურს თითქოს გარდასული საგალობლები ესმის. არსენ იყალთოელი დაბრუნებულა აკადემიის აუდიტორიებში, ნეკრესს კი სადაც არის აახმიანებს აბიბოს, იოანას, დოსითეოს ნეკრესების ლიტეა-კურთხევა...

ერეკლე მეფის ომამდიანი შემახსენებელი მეძრავს სამეფო კარის ცხოვრებაშეებს...

— მეც ასე მერჩენებოდა, შვილო, როცა ამ ძეგლებს ჩავუვლიდი ხოლმე. რაღაც ტკივილმა გულს დაიბუდა და მოსვენებას არ მაძლეედა. გზად მიმავალს ხშირად შემოვლია თვალი მათთვის და ფიქრს ყოველთვის წარსულში გადავყავდი, თითქოს ვსაუბრობდი ათასწლეულის გმირებთან. ერთხელ, ანანურის „შეუპოვრის“ მაღალ კლდეზე აბჯარასხმული ვაჟკაცი დავლანდე და ანას ხატებაც ახსენა, ქვაში უამრავი ხატ ფიქრობს... მინდოდა ამ ქვების სიხარულის ჩემი ხელებიც დაეწვა... — ამბობს ჭაღარაქცეული მამაკაცი და სათუთად უსვამს ხელს მინიატიურულ ძეგლებს.

რამოდენა მსგავსებაა, ძეგლთა პირველსახე სრულად ხარის დაცული. ყოველი ნაკვეთი ძეგლისა საკუთარი მარჯვენით გაუზომია... დაღიდია აპარატით ხელში, იღებდა ხედებს ყოველი მხრიდან, მერე თითოეულ გოჯსაც კი ზომავდა, ამოწმებდა, იწერდა...

უველაფერი კი ასე დაიწყო...

კონსტანტინე მაღალაშვილმა ყველა შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა. ქეთევანი და ლუარსაბი ხელოვნების გზას გაჰყვნენ, თამარმა და არჩილმა მამის პროფესია აირჩიეს — ეკონომიური ფაკულტეტი დაამთავრეს, პატარა დიტომ კი..

ყველას ასე ეგონა შინაც და გიმნაზიაშიც, რომ დიტო ჩინებული ხუროთმოძღვარი დადგებოდა თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს 15 წლის ყმაწვილმა სხატური კომპოზიციები გააკეთა და ზნატვლები აღტაცებაში მოიყვანა ერთბაშად ყველაერეს, რომ ყმაწვილს ხელოვნებაში ნაჭი ჰქონდა უდავოდ და ურჩიეს მოწყობებას გაჰყოლოდა.

მაგრამ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ბიჭს გრძნობის დათავრებაც არ დაცალდეს, თავი ჯარში უკრეს. რადიოსხეულში ჯარისკაცი ელექტრობამ გაიტაცა, საფუძვლიანად დაეუფლა მას და, რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში ელექტროინჟინრად დაბრუნდა.

45 წელიწადი სამშობლოს სამსახურში მიიღია, ხალხისათვის ბედნიერება მოუპოვნია, ოჯახებში სინათლე შეუჰყავდა...

ხელოვნება? ნუთუ გაქრა მისი სიყვარული?

1963 წელი. დიდი პატივისცემით გააცილეს ამაგდარი პენსიაზე. ლაპარაკობდნენ მის ფასდაუდებელ დამსახურებაზე სამშობლოს წინაშე... ეჭვობდნენ, ახეთი მრომისმოყვარეა და მინ რა გაძლებინებს, ისევ ჩვენ დაგვიბრუნდებაო.

მეც ვეუბნები. ხელოვნების თანდაყოლილმა მგზნებარე სიყვარულმა მაინც თავისი გაიტანა, ახობა და ახლა ერობაშად იფეთქა განვლილ წლებში დაგროვილმა შემოქმედებითმა ტკივილმა...

კიდევ ერთი სიცოცხლე?

დილიდან შებინდებამდე არ ჩაიხრება მისი მუხლი, სანდახან ისე გაერთობა მუშაობაში, რომ... ჰოდა, მაშინ აივანზე გადმოდგება დარბაისელი ქალი და ტკბილი, მოსიყვარულე ხმით დაუძახებს:

— მოდი, ადამიაო, მოდი, დილიდან ლუკმა არ ჩაგიდია პირში!

კაცი ტკბილადვე მიუგებს.

— დაიცა, მართა, ნუ იფი ბატონის უკადრისი სიტყვა, მარტო ამასაც მოერჩება და...

ორივეს ეცინება.

— მიტო, გენაცვალე, კვეტერა მეორეც გაკეთე. გულს მაკლია, ცოდვაა, ჩვენ რომ აღარა გვაქვს.

— კი, ჭირიმე, კი...

...ძეგლები ნელ-ნელა „ფრინდებიან“ მაღალაშვილის ბაღიდან. „იყალთოს აკადემია“ იუბილარს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიართვეს, „გრემი“ და „ალავერდი“ თეატრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია, „კვეტერა“ ხალხური შემოქმედების ისტატთა ნაშრომების გამოფენაზე დატოვეს...

ხალხს შეუწყვეტია არაფერი რწმენა.

„დიმიტრი მაღალაშვილის ნაშრომები უდავოდ დიდი მხატვრული გემოვნებით არის გაკეთებული. უფრო ამ მხცოვანი ქართველი კაცის ნაშრომს და გრძნობ ხელოვნებისადმი უდიდეს სიყვარულს, სითბოსა და კდემამოსილებას.

გებადება აზრი და გეუფლება გრძნობა — კიდევ ერთხელ მოიარო მთელი ჩვენი ქვეყნის — საქართველოს მიწა-წყალი და სათითაოდ, შენივე ხელით დახატო თუ გამოქვედო, გაჰმეტრნო თუ ააშენო ასეთი ძვირფასი ნაწარმოებები, რომლებიც ალამაზებს ჩვენი ხალხის დიად კულტურას.

დიდი მადლობა თქვენ, ბატონო დიმიტრი მაღალაშვილო!“

— ნეტავი ერთი სიცოცხლე კიდევ წინ გვედოს, ჰა, მართა... მთელ საქართველოს აღვნუსხავდი მინიატიურაში...

— იცოცხლებ, მიტო, დიდხანს იცოცხლებ, — ალერსიანად უღიმის მეუღლე.

ნადიკვარმა გრილი სიო მოჰბერა.

ცოლ-ქმარი აივანზე სხედან და ტკბილად საუბრობენ. ფიქრის ძაფს ხან ქალიშვილები მოსტაცებენ, ხან კი ვედრაჭა შვილიშვილები — ქეთინო, რუხუდანი, თამარი, ხან კიდევ ვინ იცის რა...

ნადიკვარიდან მონაბერი ნიავი კი შვილიშვილებს ფიქრში წასულ ცოლ-ქმარს და თითქოს ყურში იდუმალ ეჩურჩულება — სიბერე შორს არის, შუქი ჯერ არ დაჰკლებია სიცოცხლეს...

ნაზი შამანაური,

თელავი

მ ქ ი მ ე, ს ა ა მ ო ტ ვ ი რ თ ი



სურათზე: ალექსანდრე ალექსიძე

ქალაქ სტრასბურგში, აღმოსავლეთ საფრანგეთის ყველაზე დიდ და უძველეს უნივერსიტეტში, სამი წელიწადია იცითხება „ქართული ცივილიზაციის“ კურსი. იგი მიჰყვას ჩვენი ერის კაცს, ახალგაზრდა ნიჭიერ მეცნიერს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ ალექსანდრე ალექსიძეს — ფული ხურონული ლიტერატურის და ქართულ-ფრანგული კულტურული ურთიერთობის საკითხების მცოდნეს.

ალექსის ლექციები გამუდმებით სავსეა საფრანგეთიდან მოსული სტუდენტებით, რომელთა ინტერესი უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელზე სტრასბურგის უნივერსიტეტის სლავური და საქართველო კულტურის ინსტიტუტის დირექტორისადმ მოვდა. ცხადია გვამცნობდა, რომ ინსტიტუტმა გადაწყვიტა ინტერესი არა, სლავურის გარდა, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა კულტურითაც დაინტერესდა და უპირველესი არჩევანი ქართულ ცივილიზაციაზე შეაჩერა. და რადგან აქ დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ამა თუ იმ ერის კულტურის ისტორიასა და ენას ამავე ერის წარმომადგენელი კითხულობს, ითხოვდნენ გაგვეგზავნა სპეციალისტი, რომელიც მუშაობას შეუდგებოდა 1968-1969 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან.

ასე მოხდა ჩვენი თანამემამულე უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაში — საფრანგეთში, ქალაქში, სადაც ერთმანეთს შერწყმია ფრანგულ-გერმანული ტრადიცია, უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა გოეთე.

ეს იყო დიდი ნდობა — საერო საქმე, მძიმე, მაგრამ საამო ტვირთი. მას უნდა წაეკითხა საგანი, რომელიც მოითხოვს ფილოსოფიის, ერის ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების უზადო ცოდნას და უთუოდ კარგ ფრანგულს.

და აი გაიმართა პირველი ლექცია, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა „ყოფნა-არყოფნის“ საკითხი — დაინტერესდებოდნენ თუ არა აქაური სტუდენტები ქართული კულტურით შედვებოდა თუ არა ჯგუფი და, მაშასადამე, დამკვიდრდებოდა თუ არა „ქართული ცივილიზაციის“ კურსი სტრასბურგის უნივერსიტეტში.

ჯგუფი შედგა და საკმაოდ სოლიდურიც. ათი მეოთხეკურსელი გახდა „ქართული ცივილიზაციის“ შესწავლის მოსურნე.

შედეგები კი საგაზაფხულო გამოცდამ გამოავლინა... ბილეთი ორ საკითხს მოიცავდა — ერთი ერის ისტორიას ეხებოდა, მეორე — ლიტერატურასა და ხელოვნებას. პასუხების უდიდესი ჭილდო ქართველისათვის.

პირველობა არ მოჰკლებოდეს მესამე ზარი.

ბუთი წუთი დარჩა სპექტაკლის დაწყებამდე

აღარაფერი აღარ დარჩა.

სცენაზე მოღლილი თუ მორიდებული ნაბიჯით შემოვიდა მსახიობი. უცებ გამოცოცხლდა უველაფერი. გახუნებულ ტანსაცმელს ელვარება შეემატა. გაიშრიალა ფარდამ. გაივსო უკაცრიელი დეკორაცია. აბრდღვიალდნენ თვალებდახრილი „პროყექტორები“. გუგუნი აირეკლა გამოფხიზლებულმა კედლებმა და დაიწყო შემოქმედება. შემოქმედება და როგორი?

ესეც ქარტეხილი სიჩუმის შემდეგ!

ჯემალ მოსიაშვილი,

მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი.

(ჟურნალი „ახალგაზრდა კომუნისტი“)

სურათზე: ვასო გოძიაშვილი რიჩარდ III-ის როლში.

რუსთაველის პრემიის ლაურეატები

მ ქ ი მ ე, ს ა ა მ ო ტ ვ ი რ თ ი

ხებმა ნათლად დაადასტურა ახალგაზრდობის ინტერესი საგნის მიმართ. გარდა ამისა, უველა მიხვდა, თუ რა დონეზე იკითხებოდა ლექციები და უნივერსიტეტმა დასვა საკითხი განსოლების სამინისტროს წინაშე „ქართული ცივილიზაციის“ კურსი დამკვიდრებულიყო როგორც ოფიციალური დისციპლინა და შესწავლილ ფილოსოფიურ სასწავლო პროგრამაში. ამ წარმატებას დაუმატა ფრანგ სტუდენტთა დიდი სურვილი ქართული ენის შესწავლისა. მათ წინადადება წამოაყენეს შექმნილიყო სპეციალური ჯგუფი, რომელშიც შემდგომ შვიდი კაცი გაერთიანდა.

სავალდებულო კურსის გარდა. ჩვენს თანამემამულეს სთხოვეს ქალაქის საზოგადოებრიობისათვის წაეკითხა ლექციების ციკლი „ქართული ცივილიზაციის“ საკითხებზე. ეს მეტად სასიამოვნო წინადადება სწორედ იმიტომ იყო, რომ ქართული კულტურა საცნაური გაეხადა მათთვისაც. ვინც ჯერ კიდევ გუშინ არაფერი იცოდა მის შესახებ. საჯარო ლექციები ითარგმნებოდა მეტად ფართო აუდიტორიისათვის. გამამაუურებულად, წინასწარი გამოცხადებით გაზეთ „ელჩასის უკანასკნელ ამბებში“. ამან კი უამრავი მსმენელი შეაძინა ახალგაზრდა მეცნიერს არა მარტო სტრასბურგიდან. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფრანგები დიდი ინტერესით უსმენდნენ მათ ვახე მოლაპარაკე უცხოელის გამოსვლას საქართველოს ისტორიის და კულტურის საკითხებზე. „ქართული კულტურის ისტორიის უძველესი პერიოდი“, „ბერძნული კოლონიზაციიდან ქრისტიანობამდე“, „ბაზანტიურ-ქართული ურთიერთობები და ქართული კულტურის ცენტრები“, „რუსთაველის პოემა და ქართული რენესანსი“, „თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ხელოვნება“ — შთაბეჭდილება დიდი იყო. ამის დასტურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე მოსული ბარათი. მასში ნათქვამია, რომ ქართველი მეცნიერის ფრანგულად წაკითხულმა ლექციებმა დიდი ინტერესი აღძრა, რომ მისი მისია სრული წარმატებით მიმდინარეობს, რომ „ლექციების საილუსტრაციოდ ნაწვენები დიაპოზიტივების მასალიზმა ხარისხმა და ავტორის მიერ გამართული ფრანგულით გაკეთებულმა კომენტარებმა“ დამსწრეთა პატივისცემა დაიმსახურა. მსმენელები ბოლომდე დიდი ინტერესით უსმენდნენ ამ კურსს. ხოლო გაზეთი „ელჩასის უკანასკნელი ამბები“ დადებითად გამოეხმაურა ამ კულტურულ მოვლენას.

ბარბარეში ყოფნა სტუდენტური გამოდგა ჩვენი მეცნიერისათვის. მას საშუალება მიეცა მონაწილეობა მიეღო ბიზანტიოლოგთა სემინარში ათანის მთის პრობლემებზე, რომელიც ქართველი მეცნიერისათვის ძალზე ახლობელი და საინტერესოა. სემინარს ხელმძღვანელობდა ცნობილი ბიზანტიოლოგი პროფესორი პოლ ლემერლი. ალექსანდრე ალექსიძის მონაწილეობა ამ სემინარში თვით ფრანგებისთვისაც სასარგებლო აღმოჩნდა. ყოველივე ეს გახლდათ საბაბი უნივერსიტეტის სახელზე მოსული პატარა ბარათისა, რომელიც სამშობლოში საარდადეგებოდ ჩამოსულ მეცნიერს დაადევნეს: „ძალიან გვინდა, რომ ბატონი ალექსიძე დაგვიბრუნდეს გაისად. გარდა მისი პედაგოგიური თვისებებისა, ჩვენ ვაფასებთ მის კულტურას, ჰუმანიზმსა და დიდ გულითადობას. იმედი გვაქვს, რომ თქვენ შესაძლებლობა გექნებათ კვლავაც გამოგვიგზავნოთ იგი, რათა კიდევ უფრო განაგრძოს ქართული კულტურა ჩვენს უნივერსიტეტში“... ამის შემდეგ კიდევ ერთი წლის საინტერესო მუშაობა სტრასბურგში და... სექტემბერში ალექსანდრე ალექსიძე სამშობლოს — თავის უნივერსიტეტს უბრუნდება. თან ორი დიპლომანტი ჩამოჰყავს — ისინი, რომლებმაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს „ქართული ცივილიზაციის“ შესწავლისას. ორივე აქ — თბილისის უნივერსიტეტის აპირანტურაში განაგრძობს სწავლას ცნობილ ქართველ მეცნიერთან. სამისო საყრდენი მათ უკვე თავისსავე სამშობლოში მიიღეს ახალგაზრდა მეცნიერ ალექსანდრე ალექსიძისაგან.

თიურა ვაშაძე

ՄԱՐԴԿԱՅԻՆ ՀԱՄԱՐԵՔՍԵՐԸ


ՄԱՐԴԿԱՅԻՆ ՀԱՄԱՐԵՔՍԵՐԸ




Ա Ր Ա Ջ Ի Ն Մ Ա Ս Ն Ա Գ Ե Տ Ի Ն

Ա Ր Ա Ջ Ի Ն Մ Ա Ս Ն Ա Գ Ե Տ Ի Ն

ՀԱՄԱՐԵՔՍԵՐԸ ՄԱՐԴԿԱՅԻՆ





Ա Ր Ա Ջ Ի Ն Մ Ա Ս Ն Ա Գ Ե Տ Ի Ն

ՀԱՄԱՐԵՔՍԵՐԸ ՄԱՐԴԿԱՅԻՆ

ՀԱՄԱՐԵՔՍԵՐԸ ՄԱՐԴԿԱՅԻՆ

Ա Ր Ա Ջ Ի Ն Մ Ա Ս Ն Ա Գ Ե Տ Ի Ն

სპორტული ქრონიკა

კვლავ მეტრეველი

● კვირა ისე არ გავა, ბრწყინვალე გამარჯვებებით სახარული არ მოგვგვაროს შესანიშნავმა ქართველმა ჩოგბურთელმა **ალექსანდრე მეტრეველმა.**

ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ **ალექსანდრე** მონაწილეობდა მოსკოვის XIII ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. თბილისელმა სტუდენტმა ყველა თანრიგში გამარჯვება იზეიმა და აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. აღსანიშნავია, რომ ეს მეტრეველის მეხუთე გამარჯვებაა ამ ტრადიციულ ასპარეზობაში.

რამდენიმე დღის წინათ კი ალექსანდრე მეტრეველი პოლონეთის ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა. ერთეულთა თანრიგის გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველმა ჩოგბურთელმა ოთლად სძლია ძველ მეტოქეს, ტალინელ ლეიუსს — 6:3, 6:2, 6:3. წარმატებით გამოვიდა იგი წყვილთა თანრიგშიც, სადაც მორიზოვასთან ერთად პოლონეთის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

— ძლიერი შემადგენლობის მიუხედავად, ამ დიდებული სპორტსმენის წარმატებაში ეჭვი არ გვეპარებოდა, სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდით, — ერთხმად აღნიშნავდნენ პოლონელი სპორტული მიმომხილველები.

ჩემპიონი პიონერთა შორის

● ორენბურგში გამართულ პიონერ მოშაშთა პირველობაზე ჩინებულად იასპარეზა თბილისელმა მოსწავლემ თამარ გახოკაშვილმა, რომელმაც ჯერ კიდევ ტურნირის დამთავრებამდე მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი.

მხოლოდ მეორე

● **ჰელსინკში** მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა სპორტსმენმა სოხუმელმა **ვიქტორ სანეევმა** მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ამ შეჯიბრებაზე საქართველოდან კიდევ ერთი სპორტსმენი გამოდიოდა, ეს გახლდათ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი **ანატოლ მოშაშვილი,** რომელიც მეოთხე იყო 110 მეტრზე თარჯრბენში.

აბსოლუტური ჩემპიონი

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი.

პირად ასპარეზობაში გოგონათა შორის საერთო მოწონება დაიმსახურა თბილისელმა 13 წლის მოსწავლემ ნინა დრონოვამ. იგი სამ სახეობაში უძლიერესი იყო, ამასთანავე მრავალჭიდში 38,5 ქულით აბსოლუტური პირველობა მოიპოვა.

ნინა დრონოვა — პოლონეთის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი.

ნაკრებში — ორი თბილისელი

● საბჭოთა კავშირის კალათბურთელ გოგონათა საკრებულო ვილნიუსში გაიმართა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ლენინგრადში გაიმართა და ოური გაგარინის ხსოვნას მიეძღვნა. გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანეს თბილისელმა კალათბურთელებმა ზურაბ საყანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ.

ალექსანდრია თუ ლაზარევიჩი?

● **ჰოლანდიაში** მიმდინარეობს მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა **ალექსანდრიასა** და **ლაზარევიჩის** ნახევარფინალური გატჩი. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 ნანას სასარგებლოდ.

დიდი მეცნიერის სახელობისა

● **მთაწმინდელთა** ჯგუფმა, რომელშიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომლები შედიოდნენ, სპორტის ოსტატ ნადარაიას ხელმძღვანელობით, რიონელ მეტეოროლოგიურ პირობებში დალაშქრეს კავკასიონის ერთ-ერთი უსახელო მწვერვალი და მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **ნიკოლოზ მუსხელიშვილის** სახელი მიაკუთვნეს.

საუკეთესო — გივი ბაბუნიძე

● დონეცკში გაიმართა ნორჩ ფეხბურთელთა (13-14 წლის) გუნდების საკავშირო ტურნირის ფინალური შეჯიბრება „ტყავის ბურთის" კლუბის პირზე დონეცკის „მეტალისტსა" და ქუთაისის „კოლხეთს" შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 3:1 და მთავარი პრიზი მოიპოვეს. ქუთაისის „კოლხეთი" მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე იყო სომხეთის „არაგაწი". ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს „კოლხეთის" კაპიტანი გივი ბაბუნიძე.

სამარცხვინო დამარცხება

● კვლავ დიდი ანგარიშით დამარცხდა თბილისის „დინამო". ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ტაშკენტის „უზბეკოჩორმა" ხუთი ბურთი გაიტანა ქართველ ფეხბურთელთა კარში, საკუთარში კი მხოლოდ ერთი მიიღო.

ეს წარუმატებლობა თბილისელ გულშემატკივართათვის მოულოდნელი გახლდათ. საქმე ის არის, რომ რამდენიმე დღით ადრე „დინამომ" ჩინებულად იასპარეზა ბაქოში ადგილობრივი „ნეფთჩის" წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0.

როგორც ხედავთ, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ახლა თბილისელებს 29 თამაშიდან მხოლოდ 21 ქულა აქვთ, და ლიდერთა ჯგუფიდან საკმაოდ შორს (!) იმყოფებიან. გუნდს **ველარა ვცნობთ.**

სპორტული ქრონიკა



● სურათზე: მიხეილ თიკანაძე; საქართველოს თავისუფალ ჭიდაობათა გუნდი — საბჭოთა კავშირის V სპარტაკიადის ჩემპიონი.

ჩემპიონთა აღმზრდელი

ქუთაისის ბავშვთა სპორტული სკოლა ცნობილია არა მარტო იმით, რომ ის ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, არამედ იმითაც, რომ მან მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი აღზარდა. ამ სკოლის კედლებში ჩამოყალიბდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორებიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი ნოდარ ხმალაძე, ევროპის ჩემპიონი ნოდარ ხარაძე, ორგზის მსოფლიო

სექტემბერი

ქართული კალენდარი

● შემოდგომის პირველი თვის პირველსავე დღეს სიხარული მოაქვს. აწკრიალდება სექტემბრის ზარი და ათასობით მოსწავლე თუ სტუდენტი შეაღებს სასწავლებლის კარებს. ერთი რომ „დედაენას“ გადაშალოს, მეორე კოსმოსში ფრენის საიდუმლოებას ეზიარება. სწავლის მძებნელნი ხარბად დაეწაფებიან ცოდნის წყაროს...

● 35 წლის წინათ, 1936 წლის 5 სექტემბერს, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

● 1901 წლის სექტემბრის დამლევს გამოვიდა საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატების ორგანოს — მარქსისტული არალეგალური გაზეთი „ბრძოლის“ პირველი ნომერი.

● 8 სექტემბერს ქართველი ჟურნალისტები მსოფლიოს პროგრესულ თანამოკალმეთა მხარდამხარ აღნიშნავენ ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს.

● 70 წლის წინათ, 1901 წლის 10 სექტემბერს დაიბადა ვლადიმერ ასათიანი, ქართველი მეცნიერი-ბიოქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

● 1911 წლის 15 სექტემბერს დაიბადა გამოჩენილი მეცნიერი-გეოგრაფი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თამაზ დავითაია.

● 50 წლის წინათ, 1921 წლის სექტემბერში თბილისში დაიდგა ლენინის მონუმენტ-ბიუსტი. ეს იყო დიდი ბელადის პირველი მონუმენტი მსოფლიოში.

● 1966 წლის 28 სექტემბერს ახალციხეში გაიხსნა გენიალური შოთა რუსთაველის ძეგლი.

● 90 წლის წინათ, 1881 წლის 30 სექტემბერს, დაიბადა საქართველოს სახალხო არტისტი ნინო (ნუშა) ჩხეიძე. გამოჩენილი მსახიობი 1963 წელს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მდიდარი



ფანტაზია

ულ მცირე, თითქოს უმნიშვნელო მასალიდანაც კი მშვენიერ სამკაულებს ჰქმნიდა. მის ნახელავს სინაზე და სინატიფე არ აკლდა. და აი ხელმადლიან ოსტატს ტატიანა პაპარავას საყოფაცხოვრებო მომსახურების 34-ე კომბინატის გამგემ, გულისხმიერმა და ალღოიანმა მანდილოსანმა მარიამ დევდარიანმა მომავალი გამარჯვება უწინასწარმეტყველა და თავის სალონში პატარა სამუშაო ოთახი მიუჩინა.

ტატიანას ხელოვნებას მალე გაუჩნდა თაყვანისმცემლები. ახალგაზრდა გოგონები მისი მუდმივი დამკვეთნი გახდნენ. მეჭორწინე წყვილი რაიონებიდანაც კი ჩამოდის მასთან, რომ ღირსსახსოვარი დღისათვის თადარიგიანად წარსდგეს საქორწინო ცერემონიალზე. ტატიანას მიერ დამზადებული ფატა, სამკაულები, ქუდები თუ დეკორატიულ-მინიატურული ყვავილები — შროშანა, ლეილაღი, იაუუუნა, არ დამივიწყო, გვირილები — ყველას მოსწონს და დამკვეთიც მატულობს.

— გარდა იმისა, რომ იგი ნიჭით არის დაჯილდოებული, შესანიშნავი სულის ადამიანიც არის. სულ რომ არ გიყვარდეს სამკაული, ენითა და ქცევით შეგაყვარებს და სიამოვნებით დაიწყებ მის ტარებასო, წერდა ერთი კმაყოფილი მომხმარებელი. ასეთი ჩანაწერები შთაბეჭდილებათა წიგნში უამრავია.

შარშან რესპუბლიკურ გამოფენაზე ტატიანა კაჭარავას ნახელავი ჯილდოზე წარადგინეს. რკინიგზელთა რესპუბლიკურ სახლში, თვითნაკეთ ხელოვანთა ნამუშევრების საჭალაქო გამოფენა-დათვალიერებაზე კი ტატიანას პირველი კლასის ხელოსნის წოდება მიანიჭეს. მისმა სამკაულებმა პარიზის გამოფენა-დათვალიერებაზეც მოიწონეს თავი.

ყველა ქალის სურვილი და ლტოლვაა იყოს ლამაზი, მომხიბლავი. ტატიანაც ცდილობს სალონში მოსულთ შეურჩიოს სამკაული თვალების ფერისა, ტანისა თუ ასაკის მიხედვით. დამკვეთებს სჯერათ მისი, სჯერათ და კმაყოფილნიც სტოვებენ პატარა სახელოსნოს.

დოდო ზურაბიშვილი

სურათზე: ტატიანა კაჭარავა.



■ გალერინები ალექსანდრე სარიშვილის ფოტო

მეგობრობა გზად და ხიდად

გულისხმა

ამ სათაურით გამომცემლობა „ჰაიასტანმა“ და „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვეს კრებული, რომელშიც დაბეჭდილია 40-ზე მეტი ქართველი პოეტის ლექსი. „გულისხმა“ ქართველი მეგობრის ხმაა სომეხი მკითხველისადმი.

წიგნი იხსნება მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას წინასიტყვაობით, სადაც ლაპარაკია სომეხ-ქართველთა საუკუნო მეგობრობაზე.

კრებულში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემულია ქართველი პოეტების ლექსები. აქ შეხვდებით აკაკი წერეთლის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და ბევრი თანამედროვე ქართველი პოეტის ნაწარმოებებს. სომეხ მკითხველთა ფართო მასებს დედაენაზე პირველად მიეცათ საშუალება გაეცნონ იმ პოეტებს, რომლებმაც თავიანთი გულის სიტყვა უთხრეს სომხეთსა და სომხებს.

არ შეიძლება აუდელეგებლად წაიკითხო სანდრო შანშიაშვილის ლექსი „ლეგენდა სევანზე“, იოსებ გრიშაშვილის ისააკიანის, თუმანიანისა და ნალბანდიანისადმი მიძღვნილი სტრიქონები და თანამედროვე პოეტების ბევრი სხვა ლექსი.

კრებულში დიდი ადგილი უჭირავს ტიციან ტაბიძეს, რომელსაც განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა თუმანიანთან, შირვან-ზადესთან, ჩარენცთან, მაჰარისა და სომხური კულტურის სხვა მოღვაწეებთან. ჯერ კიდევ 1924 წელს მან გამოსცა ლექსების ციკლი „სომხეთში“.

„გულისხმის“ გამოცემა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხების მეგობრობას.

დაბადებულან მუგელიანი

ნიკოლოზ ავჭალენტის ძე

მაჭავარიანს,

დაბადებულს 1921 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორულიკიძეში (ყოფილი ყულისკარის) ეძებს და — **ნუცა მაჭავარიანი**, მცხოვრები აფხაზეთის ასსრ, ქალაქ გალში, კარლ მარქსის ქუჩა № 5.

ალექსანდრე ვლადიმერის ძე

პატარაიას,

დაბადებულს 1915 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში, ეძებს და — **ქეთევან პატარაია**, მცხოვრები ქალაქ ბათუმში, ლებანენტის ქუჩა № 41.

დავით გრიგოლის ძე

გუგავას,

დაბადებულს 1914 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელში, ეძებენ დედა — **თებრონე**, შვილი — **შოთა**, და — **თეო**, დისწულები — **გივი** და **ნანა თვალაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, პლეხანოვის გამზირი № 110.

ლეო გერასიმეს ძე

შილაკაძეს,

დაბადებულს 1925 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, ეძებენ დედა — **ოლია**, დები — **ლილი, თამარ, ნინო**, ძმა — **ბუხუტი შილაკაძეები**, მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, ორჯონიკიძის I ჩიხი, № 6.

ბენედიქტე სიმონის ძე

გოგრიჭიანს,

დაბადებულს 1914 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში, ეძებენ დედა — **ედუკა**, მამა — **სიმონ**, მეუღლე — **მარგალიტა**, შვილი — **ბონდო გოგრიჭიძეები**, მცხოვრებნი სოფელ ურავში.

ტიტე (იესე) ნესტორის ძე

ახრახაძეს,

დაბადებულს 1912 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში, ეძებენ მეუღლე — **მათიკო**, შვილი — **ამირან**, რძალი — **ანიკო**, ძმა — **პეტრე**, და — **ნატო**, შვილიშვილები — **ლაშა** და **მაია ახრახაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, პავლოვის ქუჩა № 48.

გიორგი თომას ძე

თელიას,

დაბადებულს 1920 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში, ეძებენ დედა — **ოლღა**, დები — **ქეთო, ლუბა, ეუეუნა** და **პაშა თელიები**, მცხოვრებნი სოფელ მარანში.

აკაკი ვიქტორის ძე

მეგრელიშვილს,

დაბადებულს 1922 წელს ქალაქ თბილისში, ეძებენ დედა — **საშა**, და — **მზია**, ძმა — **გიორგი (ჟორა) მეგრელიშვილები**, მცხოვრებნი ჩოხატაურის რაიონში და თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა № 36, III კორპუსი, II სადარბაზო.

გიორგი ვლადიმერის ძე

ჩხეიძეს,

დაბადებულს 1916 წელს დუშეთში, ეძებენ დები — **დოშნა, მარო**, ძმა — **ვალიკო**, ძმისწულები — **ნანა, გიორგი ჩხეიძეები**, მცხოვრებნი თბილისში პლეხანოვის გამზირი № 111, V კორპუსი.

ნიკოლოზ (კოლია) კირილეს ძე

ფირცხალაიშვილს,

დაბადებულს 1921 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, ეძებენ დედა — **ელისაბედ (ჭუჭუ)**, და — **გუგული**, ძმა — **ალექსანდრე ფირცხალაიშვილები**, მცხოვრებნი სოფელ შუხუთში.

რედაქტორის მაგიერ

ვასილ მჭედლიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.